ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1900 შაბათი, 23 დეკემბერი № 1336

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". **ტელეფონი № 372.**

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 28 დეკემბერს 1900 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

გ. გამყრელიძის და გ. კანდელაკის საბენეფისოდ ქ-ნ მ. საფაროვ-აბაშიძის და ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა

პირინჯის მზალი

ისტ. დრ. 5 მოქ. ვ. ბრუხისა, თარ. მეძმარიაშვილის-მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი საფაროვი-აბაშიძისა, კარგარეთელი, ტასო აბაშიძე, ნებიერიძისა, მდივანი და გარელი; ბ-ნნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე, გვარამაძე, მირიანოვი, ავალიანი, იმედაშვილი, იორდანოვი და სხ.

დასაწყისი 8 საათზედ. რეჟისორი **ვ. გუნია.**

მაღაზია
ქართველთა საალებ-მიცემო ამხანაგობისა
„შუამავალი"

გადატანილ იქმნა გოლოვინის პროსპექტზედ ოქროევის შენობაში

(ცირკის გვერდზედ)

გამგეობა „შუამავალისა" აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მაღაზია შეახლებული და შევსებულ არის ყოველგვარის საუკეთესო საქონლითა, როგორც საბაკალეულო-გასტრონომიული, აგრეთვე სხვა-და-სხვა სასმელებითა, სანოვაგითა და ხილეულობითა. ფასი ყველაფერზედ ზომიერი და გადაჭრილია.

გამგეობას სრული იმედი აქვს საზოგადოების ყურადღებისა და თანაგრძნობისა.

5—2

ტფილისის კერძო
სამკურნალო
მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრონით — 9 — 10 ს.

ნ. ა მუღინი — ყურისა, ყელისა და ცხვირისა — 10 — 11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი — 10 — 2 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი — თვალისა 11 — 12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11 — 12

დ. ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და შინაგანი — 12 — 1 საათამდე.

ვ. დ. მარკევიჩი — სადოსტაქრო $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათამდე, სამშაბათობით 3 – 4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი — სიფილის-სა, კანისა და საშარდესი — $1\frac{1}{2}$— 2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი — 5 — 6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი — წინაგანი და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5 — 6 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი

(წლ.) მიხეილ გედევანიშვილი

გაუგებარი რისხვა

—

ჩვენმა წერილმა სამეურნეო დაწესებულებათა და აგრონომთა შესახებ გამოიწვია დიდი რისხვა გაზეთ „კავკასიის სასოფლო მეურნეობისა". წერილის ავტორი, პატივცემული ე. იოსელიანი, გამოდის დამცველად სამეურნეო დაწესებულებათა, რომელთა მოღვაწეობის გამო ჩვენ ცოტაოდენი საყვედური გამოვთქვით.

სამწუხაროდ, ბ-ნ იოსელიანის პასუხმა ჩვენ არ დაგვაკმაყოფილა; არ დაგვაკმაყოფილა იმიტომ, რომ ავტორი იმგვარ აზრსა და მოსაზრებათ ეომება, ეწინააღმდეგება, რომელიც ჩვენ არ გვითქვამს და ფიქრშიაც არა გვქონია. დედა-აზრი ჩვენის წერილისა ის იყო, რომ ამ უკანასკნელ წლებში ჩვენში ბევრი სპეციალისტი და ბევრი სამეურნეო დაწესებულება გაჩნდა, მაგრამ მათ ნამუშევარს ხვავი არ ეტყობა, მაინცა და მაინც საგრძნობელი ნაყოფი არ მოუტანიათ... შესაძლებელია — ეს აზრი ტყუილია, შესაძლებელია — ხსენებულ დაწესებულებათ დიდი ამაგი მიუძღვით ქვეყნის წინაშე, ჩვენ-კი არ ვიცით ეს და იქნება შეცდომაშიც შევიყვანეთ მკითხველი საზოგადოება. შესაძლებელია ისიც, რომ ხსენებულ დაწესებულებათ ცოტა გააკეთეს, მაგრამ ამის მიზეზი სხვა-და-სხვა ხელშემშლელი პირობა იყოს. ყოველივე ეს შესაძლებელია და ჩვენ გვგონია ავტორიც სწორედ ამ კითხვებს უნდა შეხებოდა. მაგრამ ის სულ სხვა კითხვას აყენებს და გვაწერს ისეთ აზრს, რომელიც, ვიმეორებთ, არ გვითქვამს და ვერც ვიტყოდით. სახელდობრ, ის ამბობს, ვითომც ჩვენ სპეციალისტ-აგრონომების და სამეურნეო დაწესებულებათა გამრავლების წინააღმდეგი ვიყოთ. წერილის ავტორი განრისხებულია, როგორ ბედავენ და სპეციალისტების და სამეურნეო დაწესებულებათა სიმრავლეს უჩივიან ჩვენს ქვეყანაში, სადაც ორიოდე სამეურნეო სკოლაა, თითებზე ჩამოსათვლელი სპეციალისტი და სადაც, საჭიროების სიმრავლესთან შედარებით, მეტად მცირე იხარჯება მეურნეობაზეო! ჩვენ გვესმის ეს რისხვა და სრულიად თანაუგრძნობთ მას, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ის ჩვენ არ დაგვიმსახურებია. ჩვენ ვჩიოდით მხოლოდ იმას, რომ უწინდელ დროსთან შედარებით ეხლა გამრავლდა სამეურნეო დაწესებულებანი, მაგრამ ეს დაწესებულებანი ვერ ასრულებენ ნაყოფიერად და ბეჯითად თავის დანიშნულებას, ვერ გაამართლეს იმედები. აქედან სრულიად არ შეიძლება იმ დასკვნის გამოყვანა, ვითომც, ჩვენის აზრით, საკმარისი იყოს დღევანდელი რიცხვი სპეციალისტებისა და სამეურნეო დაწესებულებათა, რა აზრიც ბ-ნ იოსელიანს დაუსკვნია და რის გამოც ჩვენ გვირისხდება. პირიქით, ჩვენ ავტორთან ერთად გვგონია, რომ სპეციალისტებთა რიცხვმაც და სამეურნეო დაწესებულებებმაც უნდა იმატონ და იზარდონ. მაგრამ უთუოდ უნდა მოეწყოს საქმე ისე, რომ მათ ზრდასთან ერთად სარგებლობამაც იმატოს. რიცხვი აქ არაფერ შუაშია, თვით დაწესებულებანი ცუდათ არიან მოწყობილნი და დაყენებულნი და ამიტომ არ მოაქვთ იმდენი სარგებლობა, რამდენიც უნდა მოეტანათ. რამდენი იმედი და მოლოდინი დაბადა, მაგალითად, საფილოქსერო კომიტეტის დაარსებამ ჩვენში. მოკლე ხანში დაწესებულება გაიზარდა, დიდძალი ფულიც შთანთქა, მაგრამ მის მიერ გაკეთებული საქმე საცილობელია, ყოველ შემთხვევაში არ შეეთანხმება მოლოდინსა და იმედებს, და აი ეხლა კიდევაც განიზრახეს ამ დაწესებულების შემცირება. ხოლო თავიდანვე რომ უფრო მეტი ყურადღება მიექციათ ამერიკულ ვაზის სანერგეების რიგიანად მოწყობისა და მათის გამრავლების საქმისთვის, ქვეყანა მოგებაში იქნებოდა და საჩივარსაც ნაკლებ გავიგონებდით ფილოქსერისტების მრავალი შტატების შესახებ...

ვინ იტყვის კიდევ, მაგალითად, რომ ჩვენ არ გვჭირდებოდეს ისეთი ცენტრალური დაწესებულება, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მეაბრეშუმეობას? მაგრამ განა ჩვენი სააბრეშუმო სადგური პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას? კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ და მისმა გაზეთმა უკეთ იციან ამ დაწესებულების მდგომარეობა, რადგანაც არა ერთხელ აღუმაღლებიათ ხმა მის საწინააღმდეგოდ...

ავიღოთ თუნდ ის მრავალი გამოფენაკონკურსები და კრებები, რომელთაც ჰმართავს ბაღოსნობის საზოგადოება. ამგვარს გამოფენებს შეუძლიანთ მართლაც დიდი სამსახური გაუწიონ ხალხს; მათ შეუძლიანთ სკოლებისა და საცდელ დაწესებულებათა მაგიერობა გასწიონ, მაგრამ იმ სახით, რა სახითაც ისინი იმართებიან დღეს, საეჭვოა, რომ რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეთ.

ჩვენ გვესმის, რომ აგრონომ სპეციალისტს არ შეუძლიან სასწაული მოახდინოს და ერთის თვალის დახამხამებაში ბედნიერება გაამეფოს იქ, სადაც დღემდის მხოლოდ უბედურება და კბილთა ღრჭენაა. ჩვენს სოფელს ჩარჩობა ავიწროებს, ჩვენს ხალხს სამეურნეო ცოდნა აკლია, ადგილ-მამულის სივიწროვე სჩაგრავს და სხვა მრავალი ხელშემშლელი პირობა მეურნეობის განკარგებას აფერხებს. ამ გვარ გარემოებებში ჩაყენებული სპეციალისტი და დაწესებულება, რასაკვირველია, სასწაულს ვერ მოიმოქმედებენ. მაგრამ განა ჩვენ მათ სასწაულსა ვთხოვთ? ჩვენ იმას ვწუხვართ მხოლოდ, რომ სპელისტები და მათი დაწესებულებანი დღეს ვერ აკმაყოფილებენ მცირეოდენს მოთხოვნასაც. თვით ავტორი გვიცხადებს, რომ სამინისტრო კმაყოფილი არ არის სააბრეშუმო სადგურითა და ჩვენებურ სამეურნეო სკოლების ორგანიზაციითაო. არც ჩვენ გვინდოდა ამის მეტის თქმა: სადგურებიც გვაქვს და სკოლებიც, მაგრამ მათგან კარგს ჯერ ცოტას ვხედავთ.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

21 დეკემბერი.

კაპშტადტი. ბურებმა ისევ დაიჭირეს ევერსფონტენი, რომელსაც ინგლისელებმა თავი დაანებეს 12 დეკემბერს.

კარნარვონი. ბურები ჰერცოგის. ვესელსის, პრეტორიუსის და ნეივენგუსტის სარდლობით მიდიან ფრაზერბურგისაკენ; როგორც იტყობინებიან, ეხლა ისინი იმყოფებიან სპიონსბერგთან. ცარცვა ისევ არის. ფრაზერბურგთან მიმოსვლა შეწყვეტილია. პოლკოვნიკი დელილი და ტორნიკროფტი კიდევ მისდევენ მტერს, მაგრამ ცხენები და ჯორები მეტად მოქანცულნი არიან.

კაპშტადტი. კაპის ახალშენის საქმეთა მდგომარეობა მეტად ცუდია. ჰოლანდიელები ჯერ არ აჯანყებულან, მაგრამ ახალშენში შემოსეულს ბურებს დახმარებას უჩენენ. აუცილებელი საჭიროებაა, შესამჩნევი რიცხვი ჯარებისა იქმნას გამოგზავნილი ინგლისიდან. ბურების მოწინავე რაზმი ახალშენის აღმოსავლეთ ნაწილში სდგას მარაისბურგის ახლო, რომელიც კრადოკიდან ჩრდილოეთით 25 მილის სიშორეზეა.

პეკინი გენერალ ბალიუს ექსპედიციამ, რომელიც გაგზავნილი იყო სიიტინფუში დასახმარებლად პოლკოვნიკ გიუილიესი, რომელსაც ემუქრებოდა ჩინეთის რეგულიარული ჯარები, თავისი საქმე გაათავა. ჩინელები უომროდ გაიქცნენ.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა ასწია დისკონტი 4%-იდან ხუთამდე.

(საღამოს დეპეშები იხ. მეოთხე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

※ ბრიუსელის გაზეთები იუწყებიან, რომ საერთაშორისო სამედიატორო სამართლის ცნობილმა მომხრემ ვილიამ სტედმა იკისრა შუამავლობა პრეზიდენტ კრიუგერისა და ინგლისის ლიბერალურ დასის შორის. ამ დასის წევრებს უნდათ, რაც შეიძლება მალე გათავდეს სამხრეთ აფრიკის სამარცხვინო ომი.

※ ტრანსვაალის წარმომადგენლის ბინას ამ მოკლე ხანში გადაიტანენ ბრიუსელიდან გააგაში, რადგანაც ბელგიის მთავრობა ინგლისის წყენისა და ეჭვის ჩრდილისაც კი ერიდება.

※ შეერთებული შტატებიდან, კანზასიდან იწერებიან, რომ ინგლისელს კაპიტანს გეიგეტს უყიდნია იქ 50,000 ცხენი და ჯორი სამხრეთ აფრიკაში გასაგზავნად ინგლისის ჯარისათვის... და აგრეთვე ბურებისათვისო, უმატებს ერთი რუსული გაზეთი.

※ როგორც ფრანგული გაზეთი «მატენ»-ი იუწყება, 108 დაწუნებული ზარბაზნის გარდა, ინგლისს კიდევ 948 ზარბაზანა უნდა მოუვიდეს გერმანიიდანაო.

※ «სენტრალ ნიუსის» სააგენტოს ცნობით, ჩემბერლენი ცდილობს, რომ კანადას კიდევ გააგზავნინოს სამხრეთ აფრიკაში ახალი რაზმი ვოლონტიარებისა. ამ რაზმს ჩემბერლენი ჰპირდება 10 კაპიტნის და 15 პრაპორჩიკის ადგილს და ჯარის კაცებსაც კი ჯამაგირს.

※ როგორც ვიცით, მოკავშირე ჯარებმა ძალიან ისახელეს თავი ჩინეთში ძარცვით, კვლებით და ბოროტებით. აი რას იწერება ამის შესახებ ერთი ამერიკელი მაღალ-წარჩინებული ოფიცერი:

«მთელი არე-მარე პეკინისა ზღვის ნაპირამდე, რკინის გზის ორსავ მხარეს, გავერანებულია მოკავშირეთა ჯარებისაგან. ყველა სახლები გაძარცულია, ბევრი მათგანი დანგრეულიცაა. ტაძრებსა და სასახლეებს, მანდარინების სახლებსა და გლეხთა ქოხებს—ყველას ერთი ბედი ეწვიათ. აკლებული და დანგრეული სოფლები სავსენი არიან ნანგრევებით; ადამიანის ხსენება აღარსად არის; მოსახლეობა მთლად სადღაც გადაიკარგა. ხალხი ათასობით გაიმუსრა მოკავშირეთა ხელით. ყველაფერი ამ მწუხარებით სავსე არე-მარეში ჰმოწმობს უსარგებლო დანგრევას და უიარაღო ხალხის უღიერად შეწუხებას. ამ ომის ისტორიამ ვერაფერი სახელი შესძინა კაცობრიობის უმაღლეს მოდგმას და თანამედროვე ცივილიზაციას. ბევრი ოფიცერი ეცადა, რაც კი შეეძლო, მკვლელობა და უსარგებლო ტანჯვა მოესპოთ, მაგრამ ცარცვაში კი თითონ ისინიც დებულობდნენ მონაწილეობას. უმთავრესი დავლა იყო ფული, აბრეშუმეულობა, ძვირფასი ბეწვები და ძველებური ჩინური ნივთები. ჩინელებს არა აქვთ ჩვეულებად ბანკში შეინახონ თავიანთი შეძლება; ისინი თითქმის ყველანი თავიანთ შეძლებას ინახავენ ზანდუკებში, რომლებსაც ჰფლავენ მიწაში თავიანთ სახლებში ანუ მათ ახლო. ევროპიელი ჯარის კაცები მეტის მეტად დახელოვდნენ ამ დამალული განძების პოვნაში. ფულის ქარხანა ტიანძინში, ბევრი სხვა სახელმწიფო და კერძო შენობა სულ მთლად გაცარცვეს. რამდენმა ჯარის კაცმა იშოვა იმოდენა ფული, რომ წაღებასაც ვეღარ ახერხებდა. ჯარის კაცებისაგან ამ ნივთებს ყიდულობდნენ ჩალის ფასად ვიღაცა ჩათუქსნები, რომელნიც ბუზებივით დასდევდნენ ჯარს. პეკინის აღების დროს ამერიკელმა ჯარმა დავლად აიღო იმპერატორის ტანისამოსი, დიდძალი ტანსაცმელი და მორთულობა სასახლის მსახურებისა და საჩუქრები, რომელნიც დამზადებული იყო სასახლის მეგობართა და უცხოელთათვის. ოფიცრებსა და ჯარის კაცებს მთელი ყუთებით მიჰქონდათ ეს ნივთები. ერთის სიტყვით, უცნაური და საშინელი ამბები მოხდა აქ! საკვირველია ის გარემოება, რომ განათლებული კაცები ასე სწრაფად იდებენ უმსგავს და სამარცხვინო საქციელს!»

※ როგორც გაზ. «ტაიმს»-ის კორესპონდენტი იწერება, იაპონელებს ესეთი აზრი შეუდგენიათ მოკავშირეთა ჯარის კაცების ქცევაზე:

«ყველაზე რიგიანად იქცეოდნენ შეერთებული შტატების ჯარის კაცები; ისინი ყოველთვის ერიდებოდნენ ცარცვას, ცეცხლის წაკიდებას, მკვლელობას და ყოველნაირ ძალადობას უმეტესი ნაწილი ამერიკელი ჯარის ვოლონტიორებია, რიგიანად გაზრდილი და შეძლებული ხალხი არიან. მათ მოსდევენ რიგით გერმანელები, რომელთა დისციპლინა და ამტანლობა სამაგალითოა და ესენი რომ სხვა სახელმწიფოების თავდაუჭერელ ჯარებს არ უმეგობრდებოდნენ, ამერიკელებს აღარაფერში ჩამოუვარდებოდნენ. იაპონელები, ამერიკელები და ინგლისელები შეადგენენ ერთ ჯგუფს, რუსები, ფრანგები და გერმანელები—მეორეს. ყველაზე ძლიერ დამეგობრდნენ იაპონელები და ამერიკელები. მესამე ადგილს უნდა დავაყენოთ ინგლისელები. ინგლისის ოფიცრებს იაპონელები ქებით იხსენიებენ, მაგრამ ინგლისელ ჯარის კაცებზე კი, რომელნიც უმეტეს ნაწილად ინდოელები არიან, ისინი ამბობენ, რომ ეს ჯარის კაცები სცარცვავენ ყოველთვის და ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, მაგრამ მკვლელობას, ცეცხლის წაკიდებას და ძალადობას კი ძრიელ ერიდებიან. მაშინ, როდესაც ინდოელები, ფრანგები და გერმანელები,—ამბობენ იაპონელები,—სცარცვავდნენ მხოლოდ აქ იქ კანტი კუნტად, იაპონელები სცარცვავდნენ სისტემატიურად და, თითქო, თავიანთ ქვეყნის სასარგებლოდ; ტუნჩაუში ისინი მწყობრად გამწკრივებულები მივიდნენ სურსათის მაღაზიებთან და ხელში ჩაიგდეს ბრინჯის საწყობი, ღირებული 1 მილიონ იენად. პეკინში ისინი პირდაპირ ხაზინაში შევიდნენ, წამოიღეს ურმებით ვერცხლი, ღირებული ორ ნახევარ ტაელად (2½ მილიონი მანეთი) და მოიტანეს თავიანთ საელჩოში. რუსებმა ბევრი უშალეს ამ საქმის ჩადენა, მაგრამ იაპონელებმა ისე მარდად და ხელოვნურად მოახერხეს ამოდენა ვერცხლის წაღება, რომ ხაზინაში მხოლოდ შავი ფული და დატოვეს. უმეტესი ნაწილი წართმეული ნივთებისა ჩინელებმა ისევ დაიბრუნეს ჯარის კაცებისაგან, რომელნიც არაყსა და სხვა სასმელებში უცვლიდნენ ნივთებს»

※ ლიხუნ-ჩანგს ერთ ევროპიელ კორესპონდენტისათვის უთქვამს, რომ ევროპიელებმა იმოდენა ნაცარცვი და ნადავლი წაიღეს ჩინეთიდან, რომ ის ეყოფათ თავიანთ ზარალის საზღაურადაო.

※ მადრიდიდან სწერენ «ფრანკფურტერ ცაიტუნგს», რომ საღმრთო რჯულის მასწავლებელი ისპანიის მეფისა დაუთხოვნიათ მაზედ, რომ გაკვეთილების დროს ის ლიბერალიზმს მომაკვდინებელ ცოდვას ეძახდა. საზოგადოებას მოეწონა ამ მასწავლებლის დათხოვნა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ „პეტერბურგ. ვედომოსტ“-ში ვკითხულობთ: „დღეს, 17 დეკემბერს, შესრულდა 100 წელიწადი მას შემდეგ, რაც გიორგი მე-XIII-მ თავისი ელჩების პირით სთხოვა იმპერატორს პავლე I-ს მფარველობა და მას შემდეგ, რაც უმაღლეს კართან დაარსებულს დროებით საბჭოში დიდის კამათის შემდეგ მოხდა უმაღლესი ნება-რთვა საქართველოს რუსეთთან შეერთებისა, რის გამოც გამოცხადდა მანიფესტი 18 იანვარს 1801 წელს. ამ დიდებულის საქმით მეფე გიორგი მე-XIII-მ ნებაყოფლობით გაუხსნა რუსეთს გზა მთელს აღმოსავლეთისაკენ“.

◆ ამ ჟამად ტფილისში სხდომები აქვს განსაკუთრებულს კომისიას ტფილისის გუბერნიის სასოფლო სამეურნეო თანხის ზოგიერთ მუხლების გასასინჯავად. კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს გუბერნატორი ი. ნ. სვეჩინი, შესდგება საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს წევრთაგან, საგუბერნიო სამმართველოს სოვეტნიკებისაგან, გორის, ტფილისის, ბორჩალოს და ახალციხის მაზრების უფროსებისაგან და ახალციხის მომრიგებელ შუამავლის ბ-ნის ალ. ყიფშიძისაგან. კომისია ამ დღეებში დაასრულებს მუშაობას და მაშინ ვაცნობებთ მკითხველთ, თუ რას დაადგება კომისია ამ მეტად საყურადღებო საქმის შესახებ.

◆ კავკასიის მკურნალთა მეორე კრების კომიტეტის შუამდგომლობის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლად უცვნია კავკასიის მკურნალთა მომავალ წლის აპრილისათვის დანიშნული კრება გადადებულ იქმნეს ამავე წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებისათვის.

◆ გუშინ, შუადღის 4 საათზე და 19 წ., სავანგებო მატარებლით გორჩაკოვი პეტერბურგში წავიდა.

◆ ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ თვის უკანასკნელს სხდომაზედ დაადგინა გადასდოს ტფილისში სამხატვრო სასწავლებლის დასაარსებლად ყოველ წლობით 1000 მანეთი. ამავე სხდომაზედ კომისიამ განიხილა მასწავლებლის მელიქ ალავერდოვის განცხადება ფულით შემწეობის აღმოჩენის შესახებ. კომისიამ დაადგინა მიეცეს ალავერდოვს 500 მანეთი.

◆ ხუთშაბათს, 21 დეკემბერს, ტფილისის გამგეობის დარბაზში სხდომა ჰქონდა ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას, რომელმაც, სხვათა შორის, განიხილა მცირე კომისიის მოხსენება პუშკინის სახელობაზე ქალაქის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების შესახებ ალექსანდროვის ბაღთან, ქალაქის საკუთარ შენობაში. კომისიამ დაადგინა სთხოვოს ქალაქის გამგეობის სააღმშენებლო განყოფილებას შეადგინონ პროექტი აღნიშნულ შენობაზედ მეორე სართულის დადგმის შესახებ. ზოგიერთა წევრთ კომისიისას კი განუცხადებიათ, რომ რადგანაც დიდი დრო გავა ვიდრე სააღმშენებლო განყოფილება შენობის პროექტს შეადგენდეს, ამიტომ საჭიროა ეხლავე გაიხსნას ამ შენობაში სამკითხველო, ვიდრე შენობას შესაფერად მოაწყობდნენ.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინად ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას გაეგზავნათ მისთვის ის ოთხი საქმე, რომლებიც დიდხანს იყვნენ განუხილველნი საბჭოში ხმოსანთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. ეს საქმეები, როგორც გვქონდა აღნიშნული, საბჭომ განიხილა 20 ნოემბერს. ამაზე ტფილისის გუბერნატორს ხელ მეორედ მიუწერია ქალაქის მოურავისათვის—შემატყობინეთ, რა მიზეზით წარადგინეთ ის საქმეები საბჭოში განსახილველად 20 ნოემბერს, მაშინ, როდესაც მე 18 ნოემბერს მოგთხოვეთ წარმედგინათ, თანახმად საქალაქო დებულების მე 89 მუხლისა, ტფილისის საგუბერნიო მთავრობისათვის განსახილველადო. ქალაქის მოურავმა ამ დღეებში პასუხად გუბერნატორს ის შეუთვალა, რომ რადგანაც თქვენი 18 ნოემბრის (№ 53) მოწერილობა საქმეების წარმოდგენის შესახებ მე მივიღე მხოლოდ 23 ნოემბერს და მის შესახებ არავითარი ცნობა არ მქონია, ამიტომ ის საქმეები 20 ნოემბერს წარვადგინე განსახილველად საბჭოშიო.

◆ ქალაქ ბათუმს უთხოვნია ქუთაისის გუბერნატორისათვის 450 ათასი მანეთის სესხის აღების ნებართვა ქალაქში წყლის მილის გაყვანისათვის.

◆ 21 დეკემბერს შესდგა კრება ტფილისის გამგეობის წევრებისა და ბანკების წარმომადგენლებისა. კრებაზე მსჯელობა ჰქონდათ მესამე საობლიგაციო სესხის საობლიგაციო ფურცლების რეალიზაციის შესახებ და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ფულის ბაზრის ეხლანდელ მდგომარეობისა გამო ქალაქისათვის მეტად საზარალო იქნება ამ სესხის რეალიზაცია. ამიტომ იგი არ უნდა მოხდეს მომავალ წლის მარტამდე. მაგრამ, რადგან ქალაქისათვის ფული საჭიროა, ამიტომ კრებამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რათა სახელმწიფო ბანკმა ასესხოს ქალაქს საჭირო ფული ხსენებულ საობლიგაციო სესხის გირაოში.

◆ ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი ბ-ნის. ვ. კორჩევსკი, როგორც იტყობინებიან, გადაჰყავთ პეტერბურგის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე.

◆ როგორც შევიტყვეთ, ქიათურის სამრეწველო ბოქაულის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად [illegible] მთავრობას დაუნიშნავს სენაკის მაზრის სამმართველოს მდივანი ბ. დემჩინსკი.

◆ გუშინ, 22 დეკემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის მეორე სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე ტფილისის მდიდარ მოქალაქის ბ. არაფელოვის მეუღლის სოფიო არაფელოვისა და სამრეწველო სკოლის მასწავლებლის სერგეი ს. წერეთლისა, რომელიც, როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, არაფელოვისას იმას უჩიოდა, რომ მან წერეთელს პალტოს მოპარვა დააბრალა და მით შეურაცხყოფა მიაყენა. ოლქის სასამართლომ სოფიო არაფელოვისა დამნაშავედ იცნო წერეთლისათვის ქურდობის დაბრალებით შეურაცხყოფის მიყენებაში და გარდაუწყვიტა 7 დღით ციხეში დაპატიმრება. ქ-ნ არაფელოვის ვექილმა ბ-ნ ტურკევიჩმა ოლქის სასამართლოს განაჩენი განასაჩივრა სამოსამართლო პალატაში, რომელმაც გუშინ უყურადღებოდ დასტოვა ბრალდებულის ვექილის შუამდგომლობა და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება.

◆ როგორც გაზეთ „ნოვ. ობოზ.“ სწერენ, სიღნაღის ორკლასიანი საქალებო სკოლა გადაუკეთებიათ წელს მარიამის (маріинское) სკოლად და თან სწავლის ფასისთვის ექვსი მანეთი მიუმატებიათ, ასე რომ ბევრი ღარიბი მშობელი იძულებული შეიქნა თავიანთი შვილები სკოლიდან გამოეყვანა.

გარდა ამისა წინა წლებში ამ სკოლაში ასწავლიდნენ ადგილობრივ ენებს, - ქართულსა და სომხურს, წელს კი სამშობლო ენის სწავლება მეტად უცვნიათ.

◆ სეროფ ქელ-ოღლის მკვლელობის შესახებ გვატყობინებენ: ქელ-ოღლის კავშირი ჰქონია ვინმე ელენე სოლოვიოვასთან, რომელიც წინეთ ხუნუნიანცთან სცხოვრობდა და ხუნუნიანცი მიუტოვებია, რადგანაც უკანასკნელს საშუალება არ ჰქონდა. ქალი ამ მოკლე ხანში რუსეთში წასულა და რადგანაც ქელ-ოღლიმ წერა-კითხვა არ იცოდა ხუნუნიანცს აწერინებდა წერილებს თავის სატრფოსთან. იმ დღეს, როცა მკვლელობა მოხდა, ქელ-ოღლი და ხუნუნიანცი ერთად ყოფილან ერთ „ტრაქტირში“. როგორც აღმოჩნდა, ხუნუნიანცი თვით ქელ-ოღლისასაც ყოფილა იმ ღამეს: მეზობლებს მისი კალოშები უნახავთ. გარდა ამისა, მოკლულის სადგომის გაჩხრეკის დროს უნახავთ სოლოვიოვასთან მიწერილი წერილი, რომლის ხელიც ხუნუნიანცის ხელსა ჰგავს.

ამ გამოძიების შემდეგ პოლიცია შეუდგა ხუნუნიანცის ძებნას: იგი მიაკვლიეს პუშკინის ქუჩაზედ, რესტორან „ათინაში“ და წარუდგინეს გამომძიებელს.

◆ სომხურ გაზეთ „მშაკს“ სწერენ სოფ. წალკიდან, რომ იქ ახლო მდებარე მთებში აღმოუჩენიათ მარგანეცის, სპილენძის და სხვა მადნები. ამ მოკლე ხანში მრეწველთა ერთი ჯგუფი შეუდგება ამ მადნების გამოკვლევას.

◆ გაზ. „ჩერნ. ვესტნიკ“-ის სიტყვით, 18 დეკემბერს ქ. ბათუმში, მიქელაიშვილის დუქანში, ჩხუბის დროს ვიღაც იოსებ სარიშვილს სამგან მძიმედ დაუჭრია ხანჯლით სიმონ შუბლაძე და სადღაც დამალულა.

◆ სოფ. ქისალოში (ყარაიაზი) 18 დეკემბერს შემდეგი საშინელი ამბავი მომხდარა: ქმარს ღამე გამოჰღვიძებია და დაუნახავს, რომ მისი ცოლი კუროს ეალერსებოდა; იგი მაშინვე ამდგარა და ორივე ხანჯლით მოუკლავს. შემდეგ ბოქაულთან წასულა და მისთვის ყველაფერი უთქვამს.

◆ ტფ. მოქალაქეთა გამგეობას არა აქვს ფული თავის მოსამსახურეთა ჯამაგირისათვის. ამ გარემოების მიზეზად გამგეობა ასახელებს ეხლახან მომხდარ ქურდობას გამგეობის სადგომში.

◆ ტფილისის მაზრაში მიმდინარე წელს მომხდარა სულ 40 დანაშაულობა, რომელთა განხილვა სისხლის სამართალს ექვემდებარება.

ეროვნული

◆ როგორც შევიტყვეთ მიხაილოვის ქუჩაზე მარტირუზოვის საქონელს ჭირი გაჩენია; რომლის მოსასპობად უკვე საშუ ლება მიღებული.

◆ ხუთშაბათს, 21 დეკემბერს, პოლიციის მე 7 ნაწილში გამოცხადდა ტფილისის მცხოვრები არტემ სარქისას ძე ბორგიევი და განაცხადა, რომ ტფილისის მოქალაქეებმა კარაპეტ ეგორას ძე მნაცაკანოვმა და ალექსანდრე გაბრაელის ძე კალატოზიშვილმა მომპარეს ხელით საკერავი მაშინა, ღირებული 100 მან., და სადღაც გაიქცნენო. პოლიციამ უკვე შეიპყრო დამნაშავენი, რომელნიც პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი.

◆ ხუთშაბათს, 21 დეკემბერს, სასახლის ქუჩაზე სომხების საეკლესიო სახლში ბუხრიდან გაჩნდა ცეცხლი, რომელიც შინაური საშუალებითვე ჩააქრეს. ზარალი არავითარი არ მოსვლიათ.

◆ ხუთშაბათს, 21 დეკემბერს, პოლიციის მესამე ნაწილში ვიღაც ბოროტ განმზრახველთ გაუტეხიათ სპილენძით მოვაჭრის აბრამ დანულოვის დუქანი, საიდგანაც, როგორც დანულოვს პოლიციაში განუცხადებია, მოუპარავთ სხვა და სხვა ნივთები სულ 110 მანეთისა; ქურდების აღმოსაჩენად პოლიციამ უკვე საშვალება მიიღო.

◆ ხუთშაბათს, 21 დეკემბერს პოლიციის მეხუთე ნაწილში ნაშუადღევის 4 საათზე, ოქოევის ქუჩაზე, სახლ. № 23, თელავის მაზრის, სოფელ ვანთის მცხოვრებს ლევან ივანეს ძეს გომარაშვილს სიმთვრალის დროს ჩხუბი მოსვლია ქვრივ სალომე ოთარის ასულის ფურცელაძესთან, რომელიც მძიმედ დაუჭრა ხანჯლით მარცხენა გვერდში. დაჭრილი ფურცელაძისა მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს; როგორც ექიმების შემოწმებით სჩანს, ფურცელაძისას ისე მძიმე ჭრილობა მიუღია, რომ მისი მორჩენა სათუოა. დამნაშავე უკვე დააპატიმრეს და გადასცეს გამომძიებელს.

◆ ხუთშაბათს, 21 დეკემბერს, საღამოს 8 საათსადა 57 წუთზე, რკინის გზის მე 179 ვერსტზე სად. მიხაილოვის დისკასა და ნავთის აუზას ონკანს შუა უნახავთ ვიღაც კაცი, რომელსაც ერთი ფეხი მოჭრილი ჰქონია, ხოლო მეორე დაშავებული დაშავებული მიხაილოვის ქსენონში გაუგზავნიათ შემწეობის აღმოსაჩენად.

◆ გუშინ, 11 დეკემბერს, ღამის 1 საათზე, სად. რიონის ახლო შეუნიშნავთ, რომ ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ დაულაგებიათ რკინის გზის ლიანდაგზე შპალები. ორთქლმავალი № 126 მალე შეუჩერებიათ. უბედურება არა მომხდარა.

◆

ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საყურადღებოდ

არ ახალია ძველია, რომ ჩვენი სტუდენტობის ნივთიერმა მდგომარეობამ გაჭირვების მხრივ უზენაეს წერტილამდის მიაღწია. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მუდმივ ახალ-ძველ ამბავს ჩვენმა საზოგადოებამ არავითარი სახსარი არ აღმოუჩინა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ხან-გამოშვებით ერთობ მცირე შემთხვევათ, როცა ორიოდე გულკეთილი ადამიანი აწვდის სტუდენტობას ორიოდე გროშს, ხან თავის საკუთარ ჯიბიდან, ხან კიდევ ათას გვარ ვაით და ვუით ჩამოტირებულს. ამ მუდმივ ახალ-ძველ ამბავს დღეს კიდევ წამოვაყოფინეთ თავი, რადგან ამას წინად მოულოდნელი და თან წარმოუდგენელი ამბავი ამოვიკითხეთ გაზეთებში. ჩვენ ვგულისხმობთ არა ჩვეულებრივ თავად-აზნაურთა კრების ანგარიშს და ამ კრებაზე წარმოთქმულ აზრს, რომ ტფილისის თავად-აზნაურთა ქარვასლა ისეთი შემოსავლიანია, რომ ათი, თუ მეტი არა, სტიპენდიის დაარსება თამამად შეუძლიაო. მადლობის მეტი არა ეთქმის რა არა ჩვეულებრივ თავად-აზნაურთა კრებას, მაგრამ თუ ამდენი განძი ქარვასლის სალაროში უმოძრაოთ იყო, რატომ დღემდის არ გვითხრეს, ეგებ საჭიროებაც გამოგვეძებნა?.

ყველასათვის ცხადია, რომ რუსეთის სიცივე ბევრს ასნეულებს. ამ გვარ პირობებში, უწინარეს ყოვლისა, თუ ცოტაოდენი თბილი თავშესაფარი არა გაქვთ, უეჭველად ზემორე მოყვანილ ბედს ვერ წაუხვალთ. ოთახი, — რომლის ფანჯრების შუშების მგიერობას ნახევრად მაინც ძველი გაზეთების ფურცლები სწევენ, კარები დიდის გაჭირვებით ნახევრად იკეტება, მისს ბუხარს ცეცხლის ალი შარშან იანვრის აქეთ არ მოჰკარებია და, უკანასკნელად, რომლის შინაური მოკაზმულობა ერთ დაუბოლოვებელ გაჭირვებას წარმოადგენს, — არა ვგონებთ, თვით თავად-აზნაურთა მწევარ-მეძებრებისათვის სასურველ ბინად ჩაითვალოს და ისიც რუსეთში! მიუხედავად ამისა, ჩვენი სტუდენტობა ამგვარ ოთახებში სცხოვრობს. არა გვსურს გადაჭარბებით რამე მოგახსენოთ. მათი რიცხვი კერძოდ ოდესსაში დღეს ოთხია, თუმცა წლის განმავლობაში მოხდება ხოლმე, რომ რიცხვი მათი იბარტყებს. (თუ საჭირო იქნება ამის დამტკიცება, მზადა ვართ პოლიციის ბეჭდვის ზედ დასმული ქაღალდით დავამტკიცოთ). რასაკვირველია, შეუძლებელია ამგვარ ოთახში არა თუ მეცადინეობა, არამედ რამდენიმე საათით სეირნობა. ამიტომ იძულებულია სტუდენტი ხან სადმე ამხანაგთან წავიდეს და ხან აც კიდევ სხვაგან, ოღონდ კი თავის ოთახში არ დაბრუნდეს ღამის თორმეტ — პირველ საათამდის, რომ მოსვლისათავე საწოლს თავი მისცეს. აქაც მაინცა და მაინც დიდ ნუგეშს ვერ ჰპოულობს, რადგან მისი, ეგრედ წოდებული, „მატრაცი“ და საბანი მწარე მოგონებას წარმოადგენენ. ჟამთა ვითარებისა გამო გაქექილი სარჩულისა და პირის მეტი მათში ყოველისფერი განადგურებულია. ბევრი გამოკვლევა დაჭირდება ადამიანს, რომ რაიმე გამათბობელი ნივთიერება მათში აღმოაჩინოს. თუ რა სიამტკბილობით შეიძლება მოსვენება ამგვარ საწოლოთახში, რომლის ტემპერატურა გარეთ ჰავისგან მხოლოდ ნახევარი გრადუსით გაირჩევა, მიგვინდვია მკითხველისათვის, თუ კი ეს მკითხველი თავად-აზნაურთაგანია. ამასთანავე იმასაც დავსძენთ, რომ საზოგადოდ ოდესაში ზამთრობით 7—8° ის ადის სიცივე (აქაც არ გვინდა გადაჭარბებით მოგახსენოთ). ერთად-ერთი კომფორტი, რომელსაც ეს ბინა იძლევა, არის მუდმივ მოჩუხჩუხე სამოვარი, თუ კი, რასაკვირველია, ჩაი-შაქარი იქნა, მაგრამ ესეც ერთობ იშვიათი წყალობაა. — ფასი ოთახისა?! ქართველების გულუხვობა ხომ იცით... ამ ჩვეულებით გამსჭვალული ჩვენი სტუდენტი აღუთქვამს თვიურად ორ მანეთ ნახევარს, თუ ორი სული ერთად მოთავსდება — სამისათვის ფასები დაკლებულია! რასაკვირველია, აღთქმა შეურყევლად აღთქმად რჩება. საფასურის გადახდისა კი რა მოგახსენოთ. ტრადიციით ამ ბინაზე ოთხი თვის მაგივრად ერთი თვისას მაინც თუ გადიხდით, თქვენისთანა „наиаккуратнѣйшій“ მთელ დუნიაზე არავინ მოიპოვება. — საზრდო? მოგეხსენებათ ეხლანდელი ცხოვრების ვითარება, რომ თუ რომელიმე ბობოლას წინაშე ქედს მოიხრით და თავმოყვარეობა-ადამიანობას მას ანაცვალებთ, მაშინ ეგება შიმშილით არ მოკვდეთ. ოდესას, როგორც ერთ მომსხო ცენტრთაგანს, ჰყავს რამდენიმე კომიტეტი, ეგრედ წოდებული, საქველმოქმედო. აი „общежитіе“-დან წამოსულ სტუდენტს გზა ამ კომიტეტებისაკენ აქვს. აქ უნდა გამოიმათხოვროს სადილი, რომ დღეში ერთხელ მაინც კუჭი დაიკმაყოფილოს და შიმშილისაგან თავი დაახწიოს. დანარჩენ სტუდენტთა ბედ-იღბალი ვითომც უფრო საიმედოა, რადგან 43 კაცში, ნახევარი სადილს და ოთახს შინიდან მოწვდენილ გროშით პოულობს. მეორე ნახევარი კი ხელ-მოკლეთ არი: ზოგს ოთახის ფული აქვს და სადილი მათხოვრობით ნაშოვნი, ზოგს სადილის ფული აქვს, მაგრამ გამგელებული გაკვეთილით ოთახს დაეძებს, თუმცა იშვიათი მოვლენაა გაკვეთილის შოვნა, ზოგი სამსახურს დაეძებს და ზოგიც სად არ დაწანწალებს თავის გამოსაკვებათ, ვინ უწყის. ასე რომ დღე და ღამ მუდმივ იმის ფიქრშია, თუ როგორ მოიპოვოს საზრდო ფული. ამას შედეგათ ის მოჰყვა, რომ დღეს დიდი და პატარა ჩვენ სტუდენტობის უელფერობაზე, სულიერ და ხორციელ სილატაკეზე ლაპარაკობს. ჩვენ არ გვინდა აქ სტუდენტობა დავიცვათ, მხოლოდ ფაქტი გვინდა აღვიაროთ, რომ მისს დაქვეითებაში საპატიო, თუ უმთავრესი არა, ადგილი მისს ნივთიერ შეუძლებლობას უჭირავს. ის ადამიანი რომელიც მუდმივ საზრდოს პოვნაში ატარებს დროს, არასოდეს სანუგეშო არ ყოფილა და არც იქნება გარდა იმისა, რომ ვერავითარ ცოდნას ვერ იძენს, ხასიათი უწრვიმალდება ენერგიიდან და ძალ-ღონიდან იცლება საზრდოზე ნადირობის დროს. თვით ნ. ნიკოლაძეს, რომლის ნიჭი ეჭვს გარეშეა, საშუალება რომ არ ჰქონოდა ევროპის კუნჭულების დასაჩხრეკად და სამაგიეროდ მარტო რუსეთის ქალაქებში გაკვეთილებზე ერბინა ან და მათხოვრობით სადილები ეძებნა, არა ვგონებთ, დღევანდელ ნიკოლაძე დაგვრჩებოდა ხელში! — საზოგადოთ ძნელია გამოვიკვლიოთ დაახლოვებით, თუ რამდენი თავად-აზნაურთა შვილი გამოზრდილა რუსეთის ქალაქებში მათხოვრობით. განა, ეგრედ წოდებული, ქართული საღამოები რუსეთის ქალაქებში იგივე მხოლოდ გასხვაფერებულ მათხოვრობას არ წარმოადგენს? სტუდენტობა მათ გამართვაში დროს ჰკარგავს, ხშირად ჯანმრთელობას და უფრო ხშირად კიდევ ამ საღამოებიდან არა რჩება, შესაძლებელია; მაგალითებიც გვაქვს, ზედ წაადვას კიდევაც. ამ საქმეს სჩადის სტუდენტობა მაშინ, როცა მათ მამებს თურმე შეძლება ჰქონიათ და შვილებს აღარ უცხადებდნენ დღემდის. მკაცრი ჰავა და ეს გაჭირვებული მდგომარეობა ჰბადავს იმ მოვლენას, რომ, სულ დამცირებული, 30% სტუდენტობისა აქვე სიცოცხლეს ესალმებიან. არა ერთი და ორი ქართველი დედის გული დამწვარა, როცა რუსეთიდან მას შვილი „ბაგაჟათ“ მოსვლია. ოთხი წლის ჩვენ აქ ყოფნაში ექვსი საკუთარი ამხანაგი გამოგვიტირია და ორიც კიდევ სხვა ქალაქებიდან ოდესაში გამოტარებული; სხვა ქალაქებში კიდევ სხვა იყო! მერწმუნეთ, კეთილშობილნო, რომ ოთხმოცმა პროცენტმა უკვე გარდაცვლილ სტუდენტობისამ გაჯახირებულ ცხოვრებაში განუტევა სული ვინ იცის, კიდევ რავდენია გამზადებული!!? და ეს ამბავი ხდება მაშინ, როცა თავად აზნაურობას ათიოდე სტიპენდიისათვის ფული ქარვასლის სარძიკველის ქვეშ ჰქონია დაფლული! მაგრამ იძულებულნი ვართ ყოველსავე ამას, თავი დავანებოთ და შემდეგი თხოვნით მივმართოთ თავად-აზნაურობას. მოგეხსენებათ რუსეთში ცხრა უნივერსიტეტია. სპეციალურ უმაღლესს სასწავლებელზე აღარას ვიტყვი გარდა იმისა, რომ იქ შესვლა უმეტესად მხოლოდ მათ შეუძლიათ, ვისაც მათხოვრობისათვის და გაკვეთილებზე სირბილი არ სჭირდებათ. ვეცდებით, რაც შეიძლება დავამციროთ ღატაკ სტუდენტთა რიცხვი მით, რომ თითო უნივერსიტეტში ორ-ორ სტუდენტს ჩავთვლით, ასე რომ დღეს გვყავს მთელ რუსეთის უნივერსიტეტებში სულ თვრამეტი (9 × 2 = 18) სტუდენტი, რომელთა გაჭირვებას დასასრული არა აქვს. ვინ უნდა მოეხმაროს მას, თუ არა თავად-აზნაურობა, რადგან, სხვას რომ თავი დავანებოთ, 15 მაინც თავად-აზნაურთა შვილია. რადგან დღეს აღმოჩნდა, რომ ქარვასლის ბიუჯეტს შესძლებია, ათის თუ არა, ოთხი სტიპენდიის ატანა, ამიტომ უწინარეს ყოვლისა, ჩვენის ფიქრით, პირდაპირი მემკვიდრეები ამ ქარვასლის პატრონთა, ჩვენი სტუდენტები, უნდა იქმნენ დაკმაყოფილებულნი.

ოდესელი ქართველი სტუდენტი.

პროვინცია

ქუთაისი 18 დეკემბერი. დიდი ლოდინის შემდეგ 8½ საათზე (მოწვეულნი იყვნენ 7 საათზე), შეიკრიბნენ ხმოსნები და შეუდგნენ საქმეებისგანხილვას. თავმჯდომარემ აუწყა კრების საბჭოს ხმოსნად ნამყოფის გ. ბ. ლოლობერიძის გარდაცვალება. საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულს და დაადგინა გამოეცხადოს სამძიმარი მიცვალებულის ძმებს. ამის შემდეგ საბჭომ მოისმინა კითხვა ძაღლებზე გარდასახადის შესახებ. ეს საქმე უკვე გარჩეული იყო საბჭოსაგან, მაგრამ რამოდენიმე ხმოსნის თხოვნით ხელახლად უნდა განხილულიყო. საბჭომ არ ისურვა ამ საგანზე ბაასი და უარი განაცხადა ამ კითხვის გარჩევაზე. საბჭოს რაღაც ზანტობა ეტყობოდა.

ცოტათი გამოცოცხლდა საბჭო, როდესაც მოისმინა ფოსტის განყოფილების საქმე. ჩვენ უბედურ ქალაქის სხვა გაჭირვებას იგიც მიემატა, რომ ფოსტის და ტელეგრაფის „კონტორა“ არის თითქმის ქალაქის განაპირას; სუყველასაგან მივიწყებულმა და ჩაგრულმა, ეგრედ წოდებულ, სილაზე მცხოვრებმა უნდა გაიაროს მთელი ქალაქი, რომ მიაღწიოს ფოსტის კონტორაში და გაგზავნოს ბარათი ანუ ფული. ამას ის მოუნდება არა ნაკლებ ორი-სამი საათისა, თუ მივათვლით იმ დროს, რომელსაც ის გაჩერდება კონტორაში. ყოველივე ამან გამოიწვია კითხვა ფოსტის განყოფილების შესახებ ფოსტის და ტელეგრაფის უფროსი დიდი მოწადინებულია და ქალაქსაც სთხოვს დახმარებას. რასაკვირველია ბევრად უმჯობესია და სასურველი თვით კონტორის გადმოტანა ქალაქის შუაგულ ადგილას, მაგრამ ეს არ არის შესაძლებელი, რადგანაც კონტორას აქვს შეკრული პირობა სახლის მეპატრონესთან რამოდენიმე წლით, ამიტომაც იყო კრებაზე ბაასი განყოფილების შესახებ. საუბედუროდ, მოახსენა თავმჯდომარემ საბჭოს, ამ განყოფილების საშუალებით შეიძლება მხოლოდ ბარათების და ფულის გაგზავნა და რაც შეეხება ბარათების ანუ ფულის მიღებას, ეს არ იქნება შესაძლებელიო; არ იქნება აგრეთვე ტელეგრაფის განყოფილებაო; ამის შესახებ, დასძინა თავმჯდომარემ, მე მქონდა უფროსთან ბაასი და მან მითხრა, რომ საჭიროა ახალი განსაკუთრებითი შუამავლობაო. საბჭომ, მოისმინა-რა ყოველივე ეს, ისურვა იმის გაგება, თუ რა ოპერაციები იქნება შესაძლებელი მომავალ ფოსტის განყოფილებაში და დაადგინა — ეთხოვოს ამის შესახებ ცნობები ქუთაისის ფოსტის და ტელეგრაფის უფროსს. სასურველია, ჩვეულებრივად არ მოეკიდოს ამ კითხვას ჩვენი გამგეობა და გაიცნოს კარგად ეს საქმე.

საბჭომ მოისმინა ქალაქის გამგეობაში მოსამსახურე გადამწერთა თხოვნა. ინსტრუქციის ძალით გამგეობამ დაავალა თავის მოხელეთ ღამ-ღამობით მორიგეობა. აქამდინ გამგეობა ამას არ თხოულობდა, ხოლო შემდეგ ცეცხლის გაჩენისა გამგეობის დარბაზში, მან ეს საჭიროდ და სავალდებულოდ სცნო. წესრიგის უარმყოფელ და არ მოყვარე მოხელეთ, რასაკვირველია, ეს არ მოეწონათ და ითხოვეს ღამ-ღამობით განთავისუფლება. საბჭომ ვერ დააკმაყოფილა იმათი თხოვნა და დასტოვა ის უყურადღებოდ. რასაკვირველია სასამართლოში ღამ-ღამით დარჩენა არ არის სანატრელი — ნამეტნავად მათთვის, ვისაც სახლში ცოლ-შვილი უცდის, მაგრამ ამას მოითხოვს საქმე და ამგვარი მოთხოვნილება ინსტრუქციისა უნდა იქმნას სისრულეში მოყვანილი. ხოლო საჭიროა, რომ მორიგეთათვის ოთახიც იყოს ცალკე და ლოგინიც მოწყობილი; საჭიროა, გამგეობამ უფრო უზრუნველ ჰყოს თავის მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრება, გაახალისოს და შეაყვაროს მათ სამსახური, თორემ გაჯახირებული მოხელე კარგს ვერას გააკეთებს.

დ. მ.

ქ. ფოთი. ამ ჟამად ფოთის ნავთ-სადგურში დიდი მყუდროება და სიჩუმეა ჩამოვარდნილი. ასეთი ამბავი გამოიწვია შავი ქვის აქედან უცხოეთში გაზიდვის შეჩერებამ.

ნავთ-სადგურში, ნამეტურ მის ჩრდილოეთის ხანდაკზე, საიდანაც უცხოეთის გემებს ეუვედ-

თვის გააქვთ ჩვენი ქვეყნიდან შავი ქვა. ყოველ დღე ორი, ოცდა ათი უზარმაზარი საქონლის გემი იდგა და იტვირთებოდა დღე მუდამ შავი ქვით. ამ ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეს ესა ჭიროვებოდა აუარებელი მუშა ხელი, რომელსაც სისწრაფით უნდა დაეტვირთა გემი და გაესტუმრებინა შორეულს ქვეყნებში. .

დღეს კი ჩინეთთან ომიანობის გამოატეხილმა გაურკვეველმა მდგომარეობამ შეაჩერა ფოთიდან შავი ქვის გატანის საქმე და გემები თითქმის აღარც შემოდიან აქაურს ნავთ-სადგურში. დიდი საქმეა, თუ კვირაში ამ კრიზისის დროს ოთხი ან ხუთი გემი დაიტვირთა საქონლით და ამ გარემოებამ კი საშინლად დასცა ძირს მუშების ხელ-ფასი და მათი მდგომარეობა აუტანელი შეიქმნა.

არა მარტო მუშების მდგომარეობა, ფოთში წვრილ მრეწველთა მდგომარეობაც საშინლად დავაგლახდა და ისინი იძულებულნი არიან მსხვილ ექსპორტერებს ფუთი შავი ქვა ჭიათურაში ხელში ჩაუგდონ ოთხ კაპეიკად: ასე რომ ეს კრიზისი მსხვილი მრეწველისათვის არის დიდი სარფა. რასაკვირველია, ეს უმრავლესობაც ფოთის მუშებთან ერთად იმას ნატრობს, რომ შავი ქვის გატანის საქმე კვლავ გამობრუნდეს და თავისს კალაპოტში ჩადგეს.

შავი ქვის წარმოებამ ქ. ფოთში შექმნა ერთი დიდი და ფრიად საყურადღებო საქმე.

ფოთში შავი ქვით გემების დატვირთვამ, როგორც ვთქვით, მიიზიდა მრავლის უმრავლესი მუშა. ეს მუშები თითქმის ყველანი უცხო ერის შვილები იყვნენ, უფრო კი ოსმალეთიდან და სპარსეთიდან გადმოხვეწილნი ეს სომხები შეერთდნენ და შეერთებულის ძალღონით შავი ქვით მთელი დატვირთვა გემებისა სულ ერთიანად ხელთ იგდეს. ჩვენი ხალხი მაინცა და მაინც არც ეტანებოდა ამ საჯაფო საქმეს და რომ მოეკიდა კიდეც ხელი, იგი კონკურენციას ვერ უწევდა სომეხ-მუშებს.

საქმე ის არის, რომ სომეხი მუშა ძალიან მაგარი, ჯან-მრთელი და დიდი ჯაფის ამტანია, ჩვენი რაჭველი მუშებისა არ იყვეს. სადილად სომეხ-მუშას უეჭველად პური და წვნიანი რამე აქვს, დილას და საღამოს პური უნდა ჭამოს უეჭველად ჩაითა. გურული და მეგრელი მუშა კი, გარდა იმისა, რომ აქაური ჭაობისა გამო ბუნებითვე ნაზი არის, ჭამითაც რიგიანად არ საზრდოობს, როგორც საჭიროა მუშა კაცისათვის. სადილად პურის მაგივრად სჭამენ ფაფასავით წყალში მოხარშულ სიმინდის ფქვილს, რომელსაც «ფქვილ-დომას» ეძახიან, ზედ აქაური ჭის ან დამპალი წუმპის წყალს დალევენ, და აბა ასეთი იოლი სურსათით, ხომ მოგეხსენებათ, კაცი შორს ვერ წავა.

ორმა კაცმა, თავ. ა. მიქელაძემ და ბ-ნმა ბ. მოსეშვილმა, დასძლია ეს აუტანელი და ჩვენი ერის შემარცხვენელი გარემოება და მათის მეთაურობით შესდგა მთელი რაზმი ქართველ მუშებისა, რომელთა რიცხვი დღეს 400—500 კაცს აღემატება. ამათ სცადეს სომხებს შესცილებოდნენ შავი-ქვის გადაზიდვა-დატვირთვის საქმეში და მით თავიანთი საკუთარი საქმე გაეჩხადებინათ. ამ მუშების რიცხვში უფრო ბევრი იმერლობა ერია. პირველ მისვლისთანავე ქართველებისა და სომხების მუშებ შორის ასტყდა დიდი დრტვინვა, სამდურავი და ალიაქოთიც, მაგრამ საქმის ენერგიულად წაყვანამ ჩააჩუმა ისინი, სხვების თანაგრძნობაც გამოიწვია, და აი, დღეს სომხებთან ერთად ქართველი მუშებიც ეწევიან შავი ქვის საჯაფო დატვირთვის და გაზიდვის საქმეს, რომელიც თვეში ერთს მუშას, ხარჯს გარეშე, აძლევს 35—40 მანეთამდე.

ერთად მუშაობამ ჩვენი მუშებიც შეაჩვია უფრო უკეთესად ჭამა-სმას, ბეჯითობას, ყაირათს და დისციპლინას სომხებივით ისინიც ძალიან გამრჯელნი, ბეჯითნი და პატიოსანი მშრომელნი არიან და ამით იქცევენ დიდს ყურადღებას ყველა უცხო და ჩვენებურ გაგებულ კაცებისას...

ამას წინათ ქართველი მუშების მეთაურებმა ფოთის ქალაქის საბჭოს მიართვეს არზა, რომლითაც ითხოვდნენ მიეცათ იმათთვის რიონის მარჯვენა მხარეზე მიწა ადგილი, რომელზედაც უნდა აეგონ მუშებისათვის ერთი დიდი საერთო სადგომი სახლი. საბჭომ მოისმინა თხოვნა და დიდი სიამოვნებით დასთანხმდა მთხოვნელებს. იმედია, მოთავენი ამ საქმის შესაფერს სახლს დასდგმენ და შესაფერადვე მოაწყობენ. იქვე მუშებს შეეძლებათ რიგიანი სადილ-ვახშამი გაუკეთონ და მით აცდინონ სამიკიტნოებსა და ყავახანებში თრევას, რომელიც ხეირს არ აყრის არც მუშების ჯიბეს და არც სხვას ვისმე, გარდა ამ მიკიტნების და ყავახანების მეპატრონეებისა. მოთავეებს, თურმე, მომავლისთვის ისიც აქვთ აზრად, რომ ცალკე საავადმყოფოებიც გაუმართონ მუშებს, მოცლის დროს წერა-კითხვაც ასწავლონ, და ეს აზრები თუ მართლაც სისრულეში მოიყვანეს, მაშინ იგინი, ეჭვი არ არის, ფოთის ნავთ-სადგურში მომუშავე ქართველ მუშებს გაუწევენ დიდ სამსახურს.

— ფ.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. «კარდინალი რიშელიე». ევროპიული პიესები, განსაკუთრებით ისეთები, სადაც მომქმედნი პირნი მეფეები, ჰერცოგები და მარკიზები არიან, ყოველთვის ახირებულ შთაბეჭდილებას ახდენენ ქართულ თეატრის მაყურებლებზე; სცენის მოწყობილობა, ტანისამოსი, არტისტების მიხვრა-მოხვრა და მანერები ყოველთვის ყოვლად შეუფერებელია და ხშირად სიცილს იწვევს დამსწრე საზოგადოებაში. „კარდინალ რიშელიეს“ ქართული წარმოდგენაც სწორედ ეგეთი იყო: მეფე გიმნაზიის მოსწავლეს ჰგავდა და გრაფები და მარკიზები... არაფერს. კარგი იყო ბ-ნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი, განსაკუთრებით უკანასკნელ სცენაში და ღრმა შთაბეჭდილებაც მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. არა უშავდა-რა აგრეთვე ბ-ნ გედევანოვსაც იოსებ დომინიკელის როლში. მობენეფისეს ბ-ნ კ. შათირიშვილს, რომელსაც საზოგადოება დიდის თანაგრძნობით მიეგება, შეუფერებელი როლი ჰქონდა და ამიტომ სუსტად თამაშობდა. დანარჩენებზედ კარგი არა ითქმის-რა. მობენეფისეს გვირგვინი და საჩუქრები მიუვიდა...

სასამართლო

3 დეკემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატის მესამე სამოქალაქო დეპარტამენტმა განიხილა საქმე ქუთაისის ქალაქის გამგეობისა და ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს შორის ატეხილ დავის გამო, რომლითაც რკინის გზის სამმართველო უჩიოდა ქუთაისის ქალაქის გამგეობას 10,820 მანეთს და 64 კაპეიკს. საქმის გარემოება შემდეგია: როდესაც რკინის გზის სამმართველომ გადასწყვიტა ქუთაისიდან ტყიბულის რკინის გზის ტოტის გაყვანა, გეგმით ქუთაისიდან გზა უნდოდათ ლახუთის ადგილებზე გაეყვანათ, ასე რომ ეს რკინის გზა ქუთაისის ქალაქის განაპირა ადგილების მცხოვრებთ ძალიან შორს მოუვლიდა და ამიტომ, როდესაც უცნობებია ქუთაისის ქალაქის მოურავს ქალაქის საბჭოსათვის ის გარემოება, რომ რკინის გზის სამმართველო ისე შორს მოსავლელ ტყიბულისაკენ რკინის გზას იმიტომ აკეთებს, რომ იქ ადგილები შედარებით უფრო იაფია, ქალაქის საბჭოს 1882 წლის 15 დეკემბერსა და 1884 წლის 17 მარტს დაუდგენია, რომ თუ რკინის გზის მმართველობა ტყიბულის გზას ქალაქის საზღვრებზე გაიყვანს, მაშინ ქალაქი დაეხმარება გზის მმართველობას იმ ხარჯებში, რომელიც სამმართველოს მოუვა რკინის გზის ლიანდაგისათვის საჭირო ადგილების შეძენის დროს გარეშე პირებისაგანაო; გზის მმართველობას მაშინ შეუცვლია გეგმა და გზა საღორიაზე გაუგდამავს. საღორიის ადგილების პატრონების თავ. თუმანიშვილების, ჩარექოვისა და ტყავაძისათვის გზის მმართველობას ადგილის ფასი მიუცია სულ 7898 მანეთი და 29 კაპეიკი. ქუთაისის ქალაქის საბჭოს 1882 წლის 15 დეკემბრის და 1884 წლის დადგენილებანი გაუუქმებია შემდეგ წლებში იმავე საბჭოს და ამასთანავე საბჭოს დადგენილებაში აღნიშნულ ლევან თუმანიშვილისა და ივანე ჩარექოვის ადგილები სრულებით არ აღმოჩენილა რკინის გზისათვის მიზომილ ადგილებში და იმიტომ წინანდელ საბჭოს დადგენილებისამებრ რკინის გზის სამმართველოს აღთქმული დახმარება არ მიუღია. ამის გამო ატეხილი დავა პირველად განიხილა ქუთაისის ოლქის სასამართლომ 1898 წლის 11 მარტს, რომელმაც მრავალ ამ საქმის შესახებ საბუთების განხილვის შემდეგ უსაფუძვლოდ სცნო რკინის გზის სამმართველოს მიერ აღძრული საჩივარი და დასტოვა უყურადღებოდ; ამასთანავე ოლქის სასამართლომ დააკისრა რკინის გზის სამმართველოს საქმის საწარმოებელი 451 მან. და 86 კაპ. გარდახდევინება ქ. ქუთაისის სასარგებლოდ. ამიერ კავკასიის რკინის გზის იურისკონსულტს ბ-ნს დანიელოვს ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი განუსაჩივრებია ტფილისის სამოსამართლო პალატაში. ბ-ნი დანიელოვი, სხვათა შორის, თვისი სააპელაციო საჩივარი დაუსაბუთებია იმ მოსაზრებით, რომ ქ. ქუთაისის საბჭოს 1882 წლის 15 დეკემბრისა და 1884 წლის 17 მარტის დადგენილებანი უფრო საფუძვლიანი და კანონიერია, რადგანაც მაშინ საბჭოში 38 ხმოსანი დასწრებია ხოლო როდესაც შემდეგ საბჭოს ეს დადგენილება განუხილავს და გაუუქმებია, სხდომაზედ მხოლოდ 22 და 17 ხმოსანი დასწრებია და ამიტომ უფრო კანონიერად პირველი დადგენილება უნდა იქმნეს მიღებული, რომელი გარემოებაც ნამდვილი მიზეზია ამ საჩივრის აღძვრისაო. სამოსამართლო პალატამ ხუთშაბათს, 21 დეკემბერს, უკვე გამოაცხადა თვისი განაჩენი, რომლითაც გააუქმა ქუთაისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება და დაადგინა გარდახდეს ქალაქ ქუთაისის გამგეობას რკინის გზის სამმართველოს სასარგებლოდ მხოლოდ 7898 მან. და 29 კაპ., დანარჩენზედ კი რკინის გზის სამმართველოს უარი გამოეცხადოს. პალატამ აგრეთვე მიუსაჯა რკინის გზის სამმართველოს სარგებელი 1888 წლის 1 აპრილიდგან და საქმის საწარმოებელი, რომელიც უნდა გარდახდეს ქ. ქუთაისს.

საღამოს დეპეშები

22 დეკემბერი

პეტერბურგი. შავ ჭირთან საბრძოლველად არსებულ კომისიისაგან. ასტრახნის გუბერნიის, ცარევსკის მაზრის, სოფ. ვლადიმიროვკაში გლეხ ტეტერიატნიკოვის ოჯახში 4 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე გარდაიცვალა 9 კაცი. წინაპირველად ავადმყოფობა სახადი ეგონათ, მაგრამ, როდესაც 8 დეკემბერს კიდევ გახდა ავათ მეათე სული, ეჭვი შეეპარათ, ვაი თუ სწორეთ ვერ გამოვიცანით ავადმყოფობაო და მიჰმართეს ასტრახანის გუბერნატორს. ვლადიმიროვკაში ფიცხლავ გაიგზავნა ბაქტერიოლოგი პროფესორი ზაბოლოტნი და გაეგზავნა საჭირო ფული სენის მოსასპობლად. პირველად ავად გახდა 19 კაცი, რომელთაგან 15 გარდაიცვალა. ვლადიმიროვკაში ოთხი ავადმყოფიდა; 12 ავადმყოფთა მომვლელნი განმარტოვებულია და ექიმების მხედველობის ქვეშ არიან.

კაპშტადტი. ბრიტანიის ჯარებმა დასტოვეს ეგერსფონტენი და ფორესმიტი იმ განზრახვით, რომ თავი მოეყარათ. ამ ადგილების ბრიტანელი მცხოვრებნი გადაიყვანეს ინგლისელების ბანაკში ედინბურგთან და როადთან. ფრაზენბურგში და როადში დაიჭირეს ფრაზენბურგში გაგზავნილი დიდ-ძალი ყუთები ზედ წარწერით: „გაწურული რძე“, რომლებშიაც აღმოჩნდა 3000 პატრონი, 1500 კაფსული და 150 გირვანქა ნაღმი. ატყობინებენ, რომ 30 მილის მანძილზე მატესპონტენიდან ჩრდილოეთით ბრძოლა სწარმოებს.

ლონდონი. რობერტსი მოვიდა; მას მიეგებნენ უელსის პრინცი და იორკის ჰერცოგი; რკინის გზის სადგურზე დაჰხვდნენ ბევრი მაღალ წარჩინებული პირნი და კაბინეტის რამდენიმე წევრი. ბუკინგამის სასახლის გზაზე ხალხი აღტაცებით აძლევდა სალამს რობერტს.

პეკინი. სხდომაზე ელჩებმა გარდასწყვიტეს არ მისცენ პასუხი ჩინეთის მთავრობის კითხვებზე, ვიდრე ჩინეთის რწმუნებულნი არ მოაწერენ ხელს ევროპის სახელმწიფოთა მოთხოვნებს. ამ დროს ელჩები მოამზადებენ ქაღალდს შესახებ იმისა, თუ რა ნაირად უნდა იქმნას შესრულებული დასჯის და ან სხვა საგნების მოთხოვნანი, რათა უზრუნველ იქმნეს დადგენილ პირობათა შესრულება. რა წამს სახელმწიფოთა საერთო ნოტას ხელს მოაწერენ ზავის კომისარნი, ელჩები ოფიციალურად მოსთხოვენ რაზმების უფროსებს, რომ მათ მოსპონ სამხედრო მოქმედება.

კაპშტადტი ახალშენის მოხელენი ემზადებიან ყოველ შემთხვევისათვის. გრენპოიტიდან და სიმონსტაუნიდან ტყვეები გემებზე უნდა გადაიყვანონ.

ოდესა. დღეს საღამოთი მოვიდა გემი „ტამატავა“, რომელმაც დიდ ღელვას გაუძლო ზღვაში. გემზე ყველაფერი მშვიდობიანად არის.

რედაქტორი ალ. ჭყონია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით უცხადებს იმ პირთ, რომელთაც ცხენები ჰყავთ ტფილისში, რომ თანახმად ქალაქის საბჭოს 13 მარტის ამა 1900 წლის დადგენილებისა, ჯარიმები ქალაქის სასარგებლოდ ცხენებზედ დაწესებულ გარდასახადის დროზედ შეუტანლობისათვის დამდეგ 1900 წლიდან გადახდევინებულ იქმნება დარჩენილ ჯამიდან არა 24%, არამედ 18%.

(6 3—2)

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
„ჯეჯილი“
წელიწადი მეთორმეტე

გამოვა 1901 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევისაგან სასწავლებლის საკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან. ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) ტფილისში — „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილ-“ს რედაქციაში (Артиллер. ул, № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“. (3—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Декабря 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.